

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9
1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძვლები.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
5. ამონაგები.....	14
6. თვითღირებულება.....	14
7. მიწოდების ხარჯები.....	14
8. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.....	15
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
10. სასაქონლო მარაგები.....	16
11. ძირითადი საშუალებები.....	16
12. სასესხო ვალდებულებები.....	17
13. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე.....	17
14. საწესდებო კაპიტალი.....	17
15. ფინანსური რისკები.....	18
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	19
17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები.....	19
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	20
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მეკრეს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **მეკრეს (შემდგომში - 'საზოგადოება')** თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის ივლისში, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2024 წლის დასაწყისსა და ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 6 095 626 ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ საზოგადოებისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასა თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე -6 და მე -8 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2025 წლის 30 სექტემბრით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს საზოგადოების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საზოგადოების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა რეალური არჩევანი.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიული სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა საზოგადოების ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება საზოგადოება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკონომაუდიტის“ (Reg. № SARAS-F-822537) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეონა ჩინჩალაძე (Reg. № SARAS-A-815098)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა საზოგადოების ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება საზოგადოება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკონომაუდიტის“ (Reg. № SARAS-F-822537) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეონა ჩინჩალაძე (Reg. № SARAS-A-815098)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	30 552	100 186
სავაჭრო მოთხოვნები		214 940	322 268
გადახდილი ავანსები		4 259 245	5 056 858
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	10	6 095 626	4 853 426
სხვა მიმდინარე აქტივები		209 832	161 936
არამატერიალური აქტივები		3 109	3 109
ძირითადი საშუალებები	11	188 203	190 400
სულ აქტივები		11 001 507	10 688 183
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		460 784	534 808
საგადასახადო ვალდებულებები		3 984	2 573
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	79 653	450 441
მიღებული ავანსები		4 964 017	4 504 810
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		63 097	43 741
სხვა ფინანსური ვალდებულებები	12	1 426 107	2 185 428
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	2 246 206	1 845 109
სულ ვალდებულებები		9 243 848	9 566 910
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1 757 659	1 121 273
სულ საკუთარი კაპიტალი		1 757 659	1 121 273
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 001 507	10 688 183

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	30 552	100 186
სავაჭრო მოთხოვნები		214 940	322 268
გადახდილი ავანსები		4 259 245	5 056 858
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	10	6 095 626	4 853 426
სხვა მიმდინარე აქტივები		209 832	161 936
არამატერიალური აქტივები		3 109	3 109
პირითადი საშუალებები	11	188 203	190 400
სულ აქტივები		11 001 507	10 688 183
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		460 784	534 808
საგადასახადო ვალდებულებები		3 984	2 573
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	79 653	450 441
მიღებული ავანსები		4 964 017	4 504 810
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		63 097	43 741
სხვა ფინანსური ვალდებულებები	12	1 426 107	2 185 428
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	2 246 206	1 845 109
სულ ვალდებულებები		9 243 848	9 566 910
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1 757 659	1 121 273
სულ საკუთარი კაპიტალი		1 757 659	1 121 273
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 001 507	10 688 183

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი



შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	22 789 965	20 562 698
თვითღირებულება	6	(21 442 571)	(18 966 157)
		1 347 394	1 596 541
სხვა შემოსავალი		1 134 404	-
საოპერაციო ხარჯები		(13 241)	(12 681)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(905 718)	(735 806)
მიწოდების ხარჯი	7	(207 612)	(193 801)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	8	(460 360)	(274 863)
		(452 527)	(1 217 151)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		894 867	379 390
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	13	(96 882)	(124 558)
საპროცენტო ხარჯი		(155 061)	(179 842)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(6 538)	89 781
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(258 481)	(214 619)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე			
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		636 386	164 771

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	22 789 965	20 562 698
თვითღირებულება	6	(21 442 571)	(18 966 157)
სხვა შემოსავალი		1 347 394	1 596 541
საოპერაციო ხარჯები		1 134 404	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13 241)	(12 681)
მიწოდების ხარჯი	7	(905 718)	(735 806)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	8	(207 612)	(193 801)
		(460 360)	(274 863)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(452 527)	(1 217 151)
		894 867	379 390
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	13	(96 882)	(124 558)
საპროცენტო ხარჯი		(155 061)	(179 842)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(6 538)	89 781
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(258 481)	(214 619)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე			
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		636 386	164 771

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი



შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	-	956 502	956 502
წლის სრული შემოსავალი	-	164 771	164 771
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1 121 273	1 121 273
წლის სრული შემოსავალი	-	636 386	636 386
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1 757 659	1 757 659

შპს მეკრეს დირექტორი


იოსებ ბიბილაშვილი

შპს მეკრე
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარში)

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	-	956 502	956 502
წლის სრული შემოსავალი	-	164 771	164 771
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1 121 273	1 121 273
წლის სრული შემოსავალი	-	636 386	636 386
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1 757 659	1 757 659

შპს მეკრეს დირექტორი
 იოსებ ბიბილაშვილი



შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		100 186	230 399
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		838 048	(1 117 980)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(8 430)	(47 028)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(816 468)	1 124 272
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		13 150	(40 736)
სავალუტო კურსის ეფექტი		(82 784)	(89 477)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(69 634)	(130 213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	30 552	100 186

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		100 186	230 399
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		838 048	(1 117 980)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(8 430)	(47 028)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(816 468)	1 124 272
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		13 150	(40 736)
სავალუტო კურსის ეფექტი		(82 784)	(89 477)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(69 634)	(130 213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	30 552	100 186

შპს მეკრეს დირექტორი

იოსებ ბიბილაშვილი



შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეკრე“ ს/კ 400210240 დაფუძნდა 2017 წლის 3 ივლისს. დღ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2018 წლის 23 ივნისს. კომპანიის ამჟამინდელი მესაკუთრეები არიან:

- იოსებ ბიბილაშვილი (01001009333) 15%;
- ილია თაბორიძე (01024028339) 15%;
- დიანა ბაშელიშვილი (01030010894) 70%.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის ქუჩა, N1, ბინა N58.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობას ახალი და მეორადი ავტომობილებით, ავტომობილების ნაწილებითა და აქსესუარებით. შპს მეკრე არის Citroën-ისა და Opel-ის ოფიციალური წარმომადგენელი და დილერი საქართველოში, მისი საქმიანობა მოიცავს როგორც პროდუქტის რეალიზაციას, ისე შემდგომ (საგარანტიო და პოსტ-საგარანტიო) მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საზოგადოება თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთი ლარის სიზუსტით.

საზოგადოების საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი მსს ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება 2023-2024 წლებში არ მომხდარა.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა/ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, აქტივის ადგილზე მიტანისა და ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დანახარჯებს, მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს, ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს ნაწილების გამოცვლისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომელთა მიზანია აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

გახანგრძლივება ან მისგან მიღებული შემოსავლის გაზრდა. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზაციის ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები, შესაბამისობის მიხედვით, ან ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მომავალში მოელის ამ აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას და მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა ყველა რემონტისა და მომსახურების დანახარჯის აღიარება ხდება შესაბამისი პერიოდის ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

მიწას და აქტივებს, რომლებიც ჯერ არ შესულან ექსპლუატაციაში ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	5-10
მოწყობილობა და დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

სასაქონლო მარაგები

სავაჭრო საქონლის, ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნებების, ფასდათმობების და მარკეტინგული აქტივობების დანახარჯების გამოკლებით.

საზოგადოება აღიარებს ამონაგებს როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კრედიტორები წარმოადგენს ვალდებულებას საწარმოსთვის, ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის. კრედიტორები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში (ან თუ საწარმოს საოპერაციო ციკლი უფრო ხანგრძლივია, ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში). თუ დაფარვა მოსალოდნელია უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მაშინ კრედიტორი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას. კრედიტორების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც საზოგადოების თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

დივიდენდი

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი აღიარება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც აღიარებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე აისახება მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა რომელშიც ის საქმიანობს, კერძოდ ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსის გამოყენებით ან გადახდის დღისთვის არსებული კურსის გამოყენებით ან გადაფასების დღის კურსით თუ პუნქტი გადაფასებულია. ასეთი ოპერაციებისგან და წლის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისგან წარმოქმნილი საკურსო სხვაობით გამოწვეული, სესხებთან დაკავშირებული და ყველა სხვა სახის საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგება ზარალის უწყისში. საზოგადოებამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები, რომლებიც წლის ბოლოს დაფიქსირდა:

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (შენიშვნა 3), ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასების არასაწმუნოების უმთავრესი წყაროები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო საზოგადოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრების. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირება.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდის უნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

5. ამონაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, საზოგადოების ამონაგები შედგებოდა:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	22 933 319	20 562 698
უკან დაბრუნება	(143 354)	-
სულ ამონაგები	22 789 965	20 562 698

6. თვითღირებულება

	2024	2023
მარაგის საწყისი ნაშთი	4 853 426	2 485 934
შეძენილი მარაგი	22 684 771	21 333 649
მარაგის საბოლოო ნაშთი	(6 095 626)	(4 853 426)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21 442 571	18 966 157

7. მიწოდების ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, საზოგადოების საოპერაციო ხარჯი შედგებოდა:

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	111 967	135 089
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	11 429	8 172
ავტო ტექ. მომსახურება	9 718	10 794
მანქანების რეცხვა	1 575	-
მიწოდების სხვა ხარჯი	72 923	39 746
სულ საოპერაციო ხარჯი	207 612	193 801

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

8. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, საზოგადოების ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები შედგებოდა:

	2024	2023
სალაროს მომსახურება	161	203
ვიტრინების წმენდა	10 877	4 428
ოფისისთვის-ბინული- ყავა	7 324	5 237
დაცვის მომსახურება	-	261
საიჯარო ქირა	184 192	108 204
საკანცელარიო	1 129	941
კომუნიკაციის ხარჯები	4 274	2 867
კომუნალური	8 739	460
დაზღვევა	21 409	3 897
კომპიუტერის ხარჯები	1 045	3 294
საკონსულტაციო ხარჯები	25 897	835
ცვეთა და ამორტიზაცია	13 795	14 074
ქონების გადასახადი	1 844	2 058
ბანკის მომსახურების საკომისიო	71 010	76 935
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 742	7 426
მივლინება	2 054	11 593
1000 ლარამდე ღირებულების	-	2 303
სხვა საერთო ხარჯი	104 865	29 847
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	460 360	274 863

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს:

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	7 377	67 411
ფული საბანკო ანგარიშებზე	23 175	32 775
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	30 552	100 186

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

10. სასაქონლო მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო მარაგების ბალანსები მოიცავს:

	2024	2023
ავტო-მანქანები	4 727 405	3 704 337
სხვა მარაგები	1 368 221	1 149 089
08სულ სასაქონლო მარაგები	6 095 626	4 853 426

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის:

	მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	30 566	51 834	246	133 325	2 508	218 479
შესყიდვა	-	6 890	1 539	18 609	-	27 038
რეალიზაცია	(9 644)	(13 277)	-	-	-	(22 921)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	20 922	45 447	1 785	151 934	2 508	222 596
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	3 093	16 063	65	8 325	7	27 553
ცვეთის ხარჯი	2 060	3 907	209	7 292	151	13 619
გასვლა	(2 312)	(5 171)	-	-	-	(7 483)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	2 841	14 799	274	15 617	158	33 689
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	27 473	35 771	181	125 000	2 501	190 926
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024	18 081	30 648	1 511	136 317	2 350	188 907

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

12. სასესხო ვალდებულებები

სხვა სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხებს, როგორც ფიზიკური პირებისაგან, ასევე სხვადასხვა საზოგადოებებისგან. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს:

	2024	2023
მოკლევადიანი სესხი ფ.პ.-სგან	79 653	364 260
მოკლევადიანი სესხი ორგანიზაციისგან	-	39 802
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	46 379
გრძელვადიანი სესხი ორგანიზაციისგან	600 000	600 000
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან	1 646 206	1 245 109
ლიზინგი	1 426 107	2 185 428
სულ სასესხო ვალდებულებები	3 751 966	4 480 978

13. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დამთავრებული პერიოდების განმავლობაში, საზოგადოების წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:

	2024	2023
უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან შემოსავალი	112 281	153 576
უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან ზარალი	(15 399)	(29 018)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(96 882)	(124 558)

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ აქვს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი მოგება შეადგენს 1 757 659 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 1 121 273 ლარი.

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

15. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკის ფაქტორები

საზოგადოების საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა საფასო რისკი), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის რისკის მართვის პროგრამა ფოკუსირებულია ფინანსური ბაზრის არაპროგნოზირებაზე და მიზნად ისახავს კომპანიას ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის შემცირებას.

ა) სავალუტო რისკი

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ოპერირებს საქართველოს მასშტაბით, მისი შემოსავლების უმეტესი ნაწილი მიიღება აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში და ამასთან საზოგადოებას გააჩნია აშშ დოლარში დაფიქსირებული სოლიდური ვალდებულება მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების სახით. ამდენად უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდეს საზოგადოების ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე. ამიტომ ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილი სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს საზოგადოებისთვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საეჭვო ვალების რეზერვის შექმნით.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია

მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

საბალანსო მონაცემების მიხედვით საზოგადოება ხასიათდება ლიკვიდურობის დაბალი მაჩვენებლებით, რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებულია მსხვილი მოკლევადიანი სესხების არსებობით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სესხები კაპიტალიზებულია ახალ პროექტებში, საიდანაც საზოგადოება მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. კომპანიას განზრახული აქვს მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვისას საზოგადოების მიზანია დაიცვას თავისი უნარი გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით რათა უზრუნველყოს უკუგება კაპიტალზე დამფუძნებლებისათვის და სხვა სარგებელი დაინტერესებული მხარეებისათვის.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ და უმაღლესი ხელმძღვანელობა. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რისი უფლებაც დაუკავშირებელ მხარეებს არ აქვთ. ხოლო ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება ხორციელდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	მფლობელები	სხვა დაკ. მხარეები	მფლობელები	სხვა დაკ. მხარეები
დებიტორული დავალიანება	7 024	166 125	13 957	185 900
გადახდილი ავანსები	-	-	-	48 226
კრედიტორული დავალიანება	-	367 202	-	95 748
მიღებული ავანსები	-	3 603 980	-	3 897 381
მიღებული სესხები	-	679 653	-	1 004 062

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები და პირობითი ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სასამართლო დავები და პირობითი ვალდებულებები არ გააჩნდა.

შპს მეკრე

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად იცვლება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს, არ მომხდარა.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „მეკრე“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“) მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობისა და ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2025 წლის 30 სექტემბერს გამოცემული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის აზბაცში ასახული საკითხებისა.

ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ეკონომაუდიტის“ (Reg. № SARAS-F-822537) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეონა ჩინჩალაძე (Reg. № SARAS-A-815098)

2025 წელი 30 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „მეკრე“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“) მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობისა და ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2025 წლის 30 სექტემბერს გამოცემული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხებისა.

ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ეკონომაუდიტის“ (Reg. № SARAS-F-822537) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეონა ჩინჩალაძე (Reg. № SARAS-A-815098)

2025 წელი 30 სექტემბერი

თბილისი, საქართველო





MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის შედეგების მიხედვით

I. დირექტორის მიმართვა

პატივცემულო კოლეგებო

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, კომპანიის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი. ჩვენ შევძელით დასახული გეგმების რეალიზაცია, რაც კომპანიის ყველა თანამშრომლის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ფინანსური თვალსაზრისით შპს "მეკრე", როგორც Citroën-ისა და Opel-ის ოფიციალური წარმომადგენელი და დილერი საქართველოში, მუდმივად ისწრაფვის ავტომობილების ბაზარზე ლიდერობისკენ. ის მაღალკვალიფიციური მენეჯმენტით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს საკმაო გამოცდილება თავიანთ სფეროებში. ჩვენ გვაქვს ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად ვიცნობთ სექტორების კონკრეტულ პრობლემებს. კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება. 2024 წელს კომპანიის საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიზნით ვითარების უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შპს "მეკრეს" ხედვაა გავხდეთ ერთ-ერთი პირველი არჩევანი ქართულ ავტომობილების ბაზარზე, ახალი ავტომობილების შეძენის. ჩვენ ვხედავთ მომავალს, სადაც Citroën-ისა და Opel-ის ბრენდები მყარად ასოცირდება საიმედოობასთან, კომფორტთან და ინოვაციურობასთან, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მომხმარებლების ცხოვრების გამარტივებასა და გამდიდრებას. ჩვენი მისიაა შევთავაზოთ ქართველ მომხმარებელს მაღალი ხარისხის საავტომობილო პროდუქცია და მომსახურება, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ კმაყოფილებას და გრძელვადიან ნდობას. ამას ვახორციელებთ:

- მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომით: ჩვენი პრიორიტეტია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებების გაგება და მათზე მორგებული გადაწყვეტილებების შეთავაზება, იქნება ეს ახალი ავტომობილის შერჩევა, თუ შემდგომი მომსახურება.
- საუკეთესო პროდუქციის შეთავაზებით: ვუზრუნველყოფთ Citroën-ისა და Opel-ის უახლესი მოდელების მრავალფეროვან არჩევანს, რომლებიც გამოირჩევა ინოვაციური ტექნოლოგიებით, უსაფრთხოებითა და ეკონომიურობით.
- მაღალი ხარისხის სერვისით: ვთავაზობთ პროფესიონალურ საგარანტიო და პოსტ-საგარანტიო მომსახურებას, ორიგინალ სათადარიგო ნაწილებსა და კვალიფიციურ პერსონალს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ავტომობილის უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება.
- თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვით: ინვესტირებას ვახორციელებთ ჩვენი გუნდის პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, რათა მათ შეძლონ უმაღლესი დონის მომსახურების გაწევა.

მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში შპს "მეკრეს" მთავარი სტრატეგიული მიზნებია:



MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

- ❖ ბაზრის წილის ზრდა: გავამდიდრეთ ჩვენი პოზიციები ქართულ ავტომობილების ბაზარზე, Citroën-ისა და Opel-ის ახალი, ინოვაციური მოდელების აქტიური პოპულარიზაციით.
- ❖ სერვის ცენტრის აშენება და გაფართოება: ავაშენეთ სერვის ცენტრი, დავნერგეთ უახლესი ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, რათა უზრუნველვყოთ კიდევ უფრო სწრაფი და ეფექტური მომსახურება.
- ❖ მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა: შევამცირეთ ჩვენი ოპერაციების გარემოზე ზემოქმედება ენერგოეფექტური გადაწყვეტილებების დანერგვით და ელექტრომობილების ინფრასტრუქტურის განვითარებაში წვლილის შეტანით.
- ❖ ბრენდის ცნობადობის ამაღლება და იმიჯის გაძლიერება: ჩავატარეთ მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები, რათა გავზარდოთ Citroën-ისა და Opel-ის ბრენდების ცნობადობა და განვამტკიცოთ მათი იმიჯი, როგორც ინოვაციური, საიმედო და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების მწარმოებლებისა.

ძირითადი ტენდენციები:

- ✓ ელექტრომობილების ზრდა: ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია. საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული შეღავათები (მაგალითად, იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება) ხელს უწყობს ელექტრომობილების შემოყვანას და მათზე მოთხოვნის ზრდას. ამასთან, დამტენი ინფრასტრუქტურის განვითარებაც შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.
- ✓ ავტოპარკის განახლება: მთავრობის მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტზე დაწესებული შეზღუდვა (ევრო 5 სტანდარტის დანერგვა) მიზნად ისახავს ავტოპარკის გაახალგაზრდავებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს გამოიწვევს შედარებით ახალ და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილებზე მოთხოვნის ზრდას.
- ✓ რეექსპორტის მნიშვნელობა: საქართველო რჩება ავტომობილების რეგიონულ ჰაბად, განსაკუთრებით ამერიკიდან იმპორტირებული ავტომობილების კუთხით ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ყირგიზეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ტაჯიკეთი). თუმცა, რუსეთსა და ბელარუსში რეექსპორტის აკრძალვამ ბაზარზე გარკვეული ცვლილებები გამოიწვია.
- ✓ გაზრდილი მოთხოვნა ჰიბრიდულ ავტომობილებზე: ეკონომიურობისა და გარემოზე ნაკლები მავნე ზემოქმედების გამო, ჰიბრიდული ავტომობილები სულ უფრო პოპულარული ხდება.

ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2025 წელშიც.

შპს „მეკრე“-ს საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მეკრე“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წელს. როგორც Citroën-ისა და Opel-ის ოფიციალური წარმომადგენელი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში აღმაშენებლის ხეივანი №122-ში და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.



MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

კომპანიის შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან 2024 წელს 22 789 965 ლარს შეადგენდა, რაც 10,8%-ით მეტია 2023 წლის მონაცემზე (2023: 20 562 698 ლარი). კომპანიაში 2024 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 20 ადამიანს.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა

კომპანიას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული აქვს საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა გათვლილია სამ წელიწადზე. მასში მოყვანილი მონაცემები მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ საპროგნოზოა და ეყრდნობა გასული წლის არსებულ მონაცემებსა და კომპანიაში დაგეგმილ აქტივობებს. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებები - ნარჩენების შემცირება / მინიმიზაცია ან ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია გულისხმობს ნარჩენების შემცირებას წარმოქმნამდე. ხშირად ზედმეტი ნარჩენის წარმოქმნა ხდება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ან ცუდი დაგეგმვის შედეგად. ნარჩენების მინიმიზაცია რეალურად ამცირებს იმას, რასაც ჩვენ გამოვიყენებთ და შესაბამისად, ნარჩენს, რომელსაც წარმოქმნით. ნარჩენების შემცირებას კომპანია აღწევს სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგალითად: ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა.

ნარჩენების მართვა კომპანიაში ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უსაფრთხო მართვის პროცესი მოიცავს:

- ნარჩენების იდენტიფიკაციას მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვებას, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვით, რათა გამოირიცხო ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირება ისეთი ფორმით, რომ გამორიცხულ იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- ნარჩენების სერვის-ცენტრში დროებით (შემდგომ ტრანსპორტირებამდე) დასაწყობება-შენახვისათვის გამოყოფილი ადგილის პერიოდული მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

დამატებით კომპანიამ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი. რომლის ძირითადი მოვალეობებია:

- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის მომზადება და განახლება;
- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის განხორციელების ორგანიზება;
- ✓ ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება.

კომპანიის მომსახურე პერსონალს ეტაპოვრივად, განახლებად რეჟიმში უტარდება ტრენინგები ზოგადად ნარჩენების მართვის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ნარჩენების დროებით დასაწყობება/შენახვის მეთოდების, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესახებ.

საკადრო პოლიტიკა

ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესი კომპანიაში მიმდინარეობს ყოველი წლის მეოთხე კვარტალში. ამ მიზნით კომპანიაში ვაკეთებთ საშტატო ერთეულების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ვამუშავებთ ოპტიმიზაციის გეგმას, რის შემდეგაც განვსაზღვრავთ ახალი კადრების საჭიროებას.



MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 20 ადამიანს შეადგენდა. 2023/2024 წლების საშტატო ერთეულების ანალიზის შედეგების მიხედვით შესაძლოა 2025 წელს დამატებითი კადრების აყვანაზე იფიქროს კომპანიამ.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2024 წელს კომპანიას კვლევებისა და განვითარების სფეროში დამატებითი ღონისძიებები არ ჩატარებია.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და მომსახურება. კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ქვეყანაში ამ დროისათვის საავტომობილო ბაზრის რეგულაციების არ არსებობა. სამომავლოდ სახელმწიფომ შესაძლებელია მიიღოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც საავტომობილო წარმოების ადგილობრივი ბაზრის შექმნას შეუწყობს ხელს, რაც ზიანს მოუტანს იმპორტიორ კომპანიებს.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში და ცვლილება, რომლის თანახმადაც კომპანია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსიდან.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში კომპანია ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი - კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. კომპანია არ ახორციელებს სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე.

საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

კომპანიას გააჩნია ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი - სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშვალდებულია ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას. ამასთან, დაწესებულების ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი ხელმძღვანელებისგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ანგარიშს, რომელიც წარედგინება კომპანიის დამფუძნებლებს და დირექტორს.

ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ფარგლებში ანგარიშების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომპანიის ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, ისე ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი. ასევე აღნიშნული



MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა. ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ანგარიშგების პროცესი ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

- ა) ყოველკვირეულად (მიმდინარე გაყიდვების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი);
- ბ) ყოველთვიურად (თვის ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტთან შედარების, გაყიდვების, ფულის მოძრაობის და საპროგნოზო ოპერაციების ანალიზი);
- გ) კვარტალურად (ყველა ბ კატეგორიაში აღნიშნულ ანალიზთან ერთად კომპანიის პერსპექტივების ანალიზი, სვოტ ანალიზი, მიმდინარე კოეფიციენტების, ბრუნვადობის ანალიზი და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივების და რისკების ანალიზი);
- დ) წლიურად (ბ და გ პუნქტში აღნიშნული საკითხებისგან დამატებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა, გასული წლის დეტალური ანალიზი, ახალი მიზნების ჩამოყალიბება და მოცემული მიზნების მიღწევის გეგმის შედგენა).

აღნიშნული სახით ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში აღმოჩენილი იქნას ფინანსური რისკები ან/და ბიზნესის პერიოდული რყევები დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში. მოცემული გარემოებების დადგენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატიური ანგარიშგების წარდგენით კომპანია ეფექტურად ოპერირებს ბიუჯეტით დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, პარტნიორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის ვალდებულებების ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარისი მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში. კომპანია მიმდინარე პერიოდში ძირითადად საკრედიტო ვალდებულებების ნაწილში იყენებს მოკლევადიან დაფინანსებებს, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების, უმეტესად ავტომობილების შეძენა. საკრედიტო ლიკვიდურობა პირდაპირ კავშირშია მოცემული საბრუნავი საშუალებების რეალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის წყარო არის ამავე კრედიტით შეძენილი ავტომობილების რეალიზაცია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკვეთებს, შეკვეთის განთავსება ხდება როგორც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (კორპორატიული კლიენტი), ასევე ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (სადავო კლიენტი). ხელშეკრულებით გამყარებულ ნაწილში როგორც წესი ფულის ლიკვიდურობის რისკი ფაქტიურად არ არსებობს. რაც შეეხება ხელშეკრულების გარეშე არსებულ შეკვეთებს, მოცემულ შემთხვევებში კომპანია აკეთებს არჩევანს სტატისტიკაზე დაყრდნობით, სადაც პრიორიტეტი მინიჭებულია სწრაფად რეალიზებად პროდუქციაზე. როგორც წესი, მარაგის რეალიზაციის ციკლი მერყეობს 3-6 თვის შორის. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ვადების



MEKRE LLC

TBILISI, Georgia 0131
D.Aghmashenebeli Alley 118
+99532 2471009
info@mekre.ge

დარღვევის რისკი, კომპანია მოცემული ვადის გასვლამდე სხვადასხვა აქციებით და ფასდაკლებებით ახდენენ მის დაზღვევას/მინიმუმამდე დაყვანას. კომპანია ავტომობილების რეალიზაციას უმეტესად კონსიგნაციის გარეშე ახდენს, რაც ნაღდი ფულის ბრუნვის რისკს თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, კომპანიის სტაბილური საოპერაციო საქმიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ ლიკვიდურობის მაღალი რისკის წინაშე არ დადგეს.

შპს „მეკრეს“ დირექტორი

/იოსებ ბიბილაშვილი/

25.09.2025

